

„გოლდმედი“
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ს/კ 202455128

**2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგება**

სარჩევი:	გვერდი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საქმიანობის შედეგები	3
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:	4-8

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოშვებულ იქნა ხელმძღვანელობის მიერ.

სოფიო ბერეკაშვილი /დირექტორი/

მაია ყორბესაშვილი /მთ. ბუღალტერი/

თარიღი 7 სექტემბერი 2022

ფინანსური ანგარიშგება			
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის			
	2021წ.31 დეკემბრის მდგომარეობით	2021წ.1 იანვრი მდგომარეობით	2020წლის 1 იანვრის მდგომარეობით
საინვესტიციო ქონება			
გადავს			
ძირითადი საშუალებები	309745	304056	309489
არასასოფლო სამეურნეო	150000	150000	150000
სხვა გრძელვადიანი აქტივი			
სულ გრძელვადიანი	459745	454056	459489
გადახდილი ავანსები	749763	269236	328665
მარაგები	1320823	1192880	920703
სავაჭრო მოთხოვნები	834051	830931	857917
სხვა მიმდინარე აქტივები	29804	26534	27604
ფულადი სახსრები	1068353	1051980	485862
სულ მიმდინარე აქტივები	4002794	3371561	2620751
სულ მთლიანი აქტივები	4462539	3825617	3080240
კაპიტალი და			
კაპიტალი	4202473	3620498	2703497
საწესდებო კაპიტალი			
ცვლილებები გაუნ. მოგებაში	-153251	-172235	
კაპიტალის კორექტირება	90	-5301	-3887
დივიდენდი	-868421	-976000	-520220
გაუნაწილებელი	3620498	2703497	2117952
მიმდინარე პერიოდის	1603557	2070537	1109652
სულ კაპიტალი	4202473	3620498	2703497
გრძელვადიანი			
გრძელვადიანი სასესხო			
სულ გრძელვადიანი			
სხვა მოკლევადიანი	14920	3436	3700
სავაჭრო და სხვა კრედიტ.	235489	200972	353777
საბიუჯეტო	9657	711	9551
მიმდინარე სასესხო			9715
სულ მოკლევადიანი	260066	205119	376743
სულ ვალდებულებები	260066	205119	376743
სულ კაპიტალი და	4462539	3825617	3080240

სოფიო ბერეკაშვილი /დირექტორი/

/-----/

	31/12/2021	31/12/2020
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	6063273	7169861
ამონაგები მომსახურების გაწევიდან		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-3821303	-4526359
საერთო მოგება	2241970	2643502

სხვა შემოსავალი	10183	12555
დასაქმებულთა ანაზღაურება	-473743	-468869
კომუნალური ხარჯი	-10815	-5553
ცვეთა და ამორტიზაცია	-15469	-12752
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-57268	-91339
ვადაგასული მარაგების ხარჯი	-75833	-8467
იჯარა	-300	-3975
დღევანდელი	-2063	-2212
საწვავის ხარჯი	-20163	-14989
სხვა საოპერაციო შემოსავალი	16711	9247
საპროცენტო ხარჯი		-3969
სულ საოპერაციო ხარჯები	-628760	-590323
სულ საოპერაციო მოგება	1613210	2053179
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო	-605	31721
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-9048	-14363
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი	1603557	2070537
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	1603557	2070537

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების გაოთხების რეზერვი	-	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
შედეგის სრული შემოსავალი / (ზარალი)		
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	3620498	2703497
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-868421	-976000
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში და კაპიტალში	90	-5301
ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-153251	-172235
კაპიტალის სხვა ცვლილებები	1603557	2070537
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4202473	3620498

შპს „გოლდმედი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 1

ზოგადი ინფორმაცია

შპს „გოლდმედი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2008 წელს საქართველოში. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო სახარჯი მასალის საბითუმო და საცალო რეალიზაცია კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართით საქართველო, 0131, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, კათოლიკოსი აბრაჰამ I ქუჩა #26

შენიშვნა 2

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

კომპანიის მიერ, მეორედ მოხდა მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის გამოყენება,

ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად.

კომპანიას გასულ პერიოდებში არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

საანგარიშგებო და სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

1. საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
2. საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას;
3. განმარტებით შენიშვნებს, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებები, რომელსაც ფინანსური ანგარიშგება მოიცავს, განპირობებულია მხოლოდ მოგების ან ზარალის მიღებით, დივიდენდების გაცემით, წინა პერიოდების შეცდომების გასწორებითა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით, შესაბამისად კომპანიამ გადაწყვიტა წარადგინოს საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები. აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად და სტრუქტურა

შედგენილია ლიკვიდობის კლესადობის მიხედვით.

აქტივები შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით და დაგროვილი ცვეთით (დაგროვილ გაუფასურების ზარალთან ერთად) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის;

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით. ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება,

კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. ქონება კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება შეფასებით სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობა 1,7%

ტექნიკა და

ელ.მოწყობილობები 10%

სატრანსპორტო

საშვალეები 20%

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა 10%

არამატერიალური აქტივი 10%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად

შეიცვალა, ახალი შეფასების ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი მეთოდით“ (MIDL) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს,

არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი.

ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას.

თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს.

თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის)

საბალანსო ღირებულება.

გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზარდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება.

გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის

გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები:

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და ხარჯი.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისთვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის

გამოყენებით.

საკუროს სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება: განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;

მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი. მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად.

საგადასახადო დაბეგვრის წესიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო ვუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ პირობებზე აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი მოვლენები.

მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ პერიოდში აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენები.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

შენიშვნა 3

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31/12/2021	01/01/2021	01/01/2020
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	133907	68748	206673
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები	934446	983232	279189
სულ	1068353	1051980	485862

შენიშვნა 4

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31/12/2021	01/01/2021	01/01/2020
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	834051	830931	857917
გადახდილი ავანსები	749763	269236	328665
სულ	1583814	1100167	1186582

შენიშვნა 5

მარაგები

	31/12/2021	01/01/2021	01/01/2020
მარაგები	1320823	1192880	920703
სულ	1320823	1192880	920703

რეალიზებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 3929449 ლარი მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 3821303 ლარი. ამავე პერიოდში ჩამოწერილი და განადგურებულ იქნა 73533 ლარის ვადაგასული პროდუქცია, რომლის განადგურებისათვის გადახდილი იქნა მომსახ.ხარჯი 2300 ლარი. უკან დაბრუნებულმა საქონელმა შეადგინა 12143 ლარი. იგი ჩართულია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების მუხლში.ასევე ეპიდსიტუაციასთან დაკავშირებით თანამშრომლების ეკიპირებისათვის გახარჯული იქნა 882 ლარის საქონელი.ასევე ჩამოწერილი იქნა ტენდერებში მონაწილეობისას ნიმუშების სახით გამოყენებული 277 ლარის საქონელი,რომელსაც დაკარგული ქონდა სარეალიზაციო სახე.გამოყენებული საქონლისმარაგების ნაწილს შეადგენდა საწვავის ღირებულება დიზელისა და ბუნებრივი აირის სახით 19735 ლარის ოდენობით, რომლიდანაა საანგარიშო პერიოდში ათვისებული იქნა20163 ლარის საწვავი.საწყობში აღმოჩენილი იქნა დაუსაბუთებელი საქონლის მარაგი,6584ლარის ღირებულების რომელიც აღიარებული იქნა შემოსავლად

ძირითადი საშუალებები
ღირებულება ან გადაფასებული თანხა

	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტ ო საშუალება	შენობა	დაუმთავრებელი მშენებლობა
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	11889	34326	287382	
შესყიდვები /კაპიტალიზაცია	284	11588		
გადაფასების კორექტირება				
გაყიდვები/ჩამოწერა		6324		
2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	12173	39590	287382	0
შესყიდვები /კაპიტალიზაცია	1000	22003		
გაყიდვები/ჩამოწერა		6217		
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13173	55376	287382	0
ცვეთა და გაუფასურება				

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3057	8221	12829	
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	1263	11911	4886	
გაყიდვის მომენტში არსებული დაგროვილი ცვეთა		6324		
გადაფასების კორექტირება	-754			
გაუფასურება				
2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3566	13808	17715	
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	1610	9031	4886	
გაყიდვა/ ცვეთის ჩამოწერა	-77	-4353		
მიმდინარე წლის დაუმთავრებელი მშენებლობის ცვეთის ხარჯი				
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5099	18486	22601	
საბალანსო ღირებულება				
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	8833	26105	274553	
2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	8607	25782	269667	
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8074	36890	264781	
სოფიო ბერეკაშვილი /დირექტორი/ მაია ყორბესაშვილი /მთ. ბუღალტერი/				

	2021	2020	2019
სავაჭრო და სხვა კრედიტ. დავალიანება	235489	200972	353777
საბიუჯეტო გადასახდელები მიმდინარე	9657	711	9551
სასესხო ვალდებულება	0	0	9715
მიღებული ავანსი	0	0	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	14920	3436	3700
სულ მოკლევადიანი ვალდებულება	260066	205119	376743
გრძელვადიანი სასესხო დავალიანება	0	0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	260066	205119	376743

სოფიო ბერეკაშვილი /დირექტორი/